ა(ა)იპ ქ. ქუთაისის
სპორტულ დაწესებულებათა
გაერთიანება

NNLE Kutaisi Sport
Institutions Union

ა(ა)ი.პ. ქ. ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მმართველის

ბრძანება № 30

ქ. ქუთაისი 5 მაისი 2023 წ.

ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების საკონკურსო კომისიის შექმნის და საკონკურსო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 ივნისის N 100 დადგენილების, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა/წლის 24 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის 29 იანვრის N 108 ბრძანებაში ცვლილების შეტანის, ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 24 აპრილის ბრძანება N ბ44-442311478 წესდების (ახალი რედაქცია) და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე:

ვბრძანებ:

მუხლი 1. ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებაში თანამშრომელთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად, კონკურსის ჩატარების და მუშაობის ეფექტურად წარმართვის მიზნით შეიქმნას ა(ა)იპ ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების საკონკურსო კომისია შემდეგი წევრების შემადგენლობით:

ა) ირაკლი გიორგაძე -- ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი.

ბ) ლანა სვანიძე --- ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი.

გ) კობა ფხაკაძე -- ა(ა)იპ ქ.ქუთაისის „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ მმართველი.

დ) თეა კვანტიძე -- ა(ა)იპ ქ.ქუთაისის „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ადმინისტრაციის უფროსი.

ე) მამაუკა მღვდელაძე ---ა(ა)იპ ქ.ქუთაისის „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ მმართველის მოადგილე.

ვ) ასმათი ხარატიშვილი ---ა(ა)იპ ქ.ქუთაისის „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ იურისტი.

ზ) ზურაბი ნიკოლაიშვილი -- ა(ა)იპ ქ.ქუთაისის „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ IT სპეციალისტი.

მუხლი 2. ა(ა)იპ ქ.ქუთაისის „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ საკონკურსო კომისიის წევრებმა უზრუნველყონ:

ა) კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებით გამოცემული აქტების, მიღებული გადაწყვეტილებების მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, საჯაროობა და ხელმისაწვდომობა.

ბ) კომისიის სხდომების ტექნიკური მომზადება, კომისიის სხდომის ოქმების და გადაწყვეტილებების მომზადება.

გ) საკონკურსო კომისიაში შემოსული კორესპოდენციის აღრიცხვა.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ვ. კუპრაძის ქ 11 მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. ბრძანება გამოქვეყნდეს ა(ა)იპ ქ.ქუთაისის „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე /ელ-ფოსტა: sportunion@kutaisi.gov.ge /

ა(ა)იპ-ი ქ. ქუთაისის სპორტულ
დაწესებულებათა გაერთიანების
მმართველი
კობა ფხაკაძე

ქ. ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა • KUTAISI SPORT INSTITUTIONN'S UNION • ა(ა)იპ
412677269